ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი სხდომის

ო ქ მ ი №5

სხდომის ჩატარების დრო:

25 თებერვალი, 2026 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მეხუთე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭილვარია

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი მ.ნიჟარაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: ლ.გვენეტაძე, ა.კოპალეიშვილი, საკრებულოს წევრები: შ.ჯიშკარიანი, ს.ნერგაძე, მ.ჩიხლაძე, მ.კოსტავა, ბ.გვეტაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, ი.კუჭავა, თ.ბაკურაძე, ლ.ჩიტიძე, ა.გიორგაძე, ა.თამაზაშვილი, მ.გიორგაძე, ბ.ჩეჩელაშვილი, ს.სარალიძე, კ.ფხაკაძე, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი, ე.არჩაია, ა.მიქაუტაძე.

სულ: 25 წევრიდან - 24 წევრი.

არ ესწრებოდა: საკრებულოს წევრი დ.მხეიძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი დ.ერემეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები,

ბატონები: გ.ცხაკაია, დ.ნიშნიანიძე და შ.მშვილდაძე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი გ.სვანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ქალბატონი ე.ნიკიფი, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ვ.სილაგაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი მეხუთე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი მეხუთე სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ საკრებულოს რიგითი მეხუთე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ქალბატონი მ.კოსტავა და ბატონი დ.მხეიძე

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მეხუთე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი ჭიღვარიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **პირველი** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის**

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მცირე განმარტება გააკეთა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ: „საკრებულოს რეგლამენტში წარმოდგენილი ცვლილებები განპირობებულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებით. როგორც თქვენთვის ცნობილია, 2025 წლის 16 ოქტომბერს, ცვლილება შევიდა საკრებულოს ფრაქციის შექმნის წესში. კოდექსს დაემატა 165[1] მუხლი, რომელიც 2029 წლის არჩევნებში არჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობამდე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის შექმნას შეეხება. ამ მუხლის მიხედვით, ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება აქვთ, შექმნან სხვა ფრაქცია თუ ისინი პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის უპარტიო კანდიდატები ან თუ ისინი დატოვებენ შესაბამისი პოლიტიკური პარტიის წევრობას და გაწევრდებიან სხვა პოლიტიკურ პარტიაში.

2025 წლის 17 დეკემბერს, ცვლილება შევიდა კოდექსის 25-ე მუხლში, რომლითაც ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევის დრო - ახალარჩეული საკრებულოს უფლებამოსილების დაწყებიდან არაუგვიანეს 30-ე დღე, შეიცვალა არაუგვიანეს მე-14 დღით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შედის გარკვეული ცვლილებები საკრებულოს რეგლამენტში, ამით, იგი შესაბამისობაში იქნება მოყვანილი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან.“

ამის შემდეგ, მან ზემოაღნიშნულ საკითხზე წარმოადგინა **დადგენილების** პროექტი.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „გირჩი"), ქალბატონი **თეკლა მებურიშვილი:** „ეს ცვლილებები თვითმმართველობის კოდექსში ხომ არის და იგივეს ასახვა რეგლამენტში აუცილებელი იყო? „ნორმატიული აქტების შესახებ" კანონი გვავალდებულებს ამ ცვლილების შეტანას?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი **ცაგური პატარიძე:** „საკრებულოს რეგლამენტი თავის დროზე მიღებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საფუძველზე და მასში ჩამოყალიბებული დებულებები გამომდინარეობს ამ კოდექსიდან. ხსენებული კოდექსის 25-ე მუხლით ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევის დროდ განსაზღვრული იყო ახალარჩეული საკრებულოს უფლებამოსილების დაწყებიდან არაუგვიანეს 30-ე დღე. აღნიშნული დათქმა ამ ფორმულირებით იყო საკრებულოს რეგლამენტშიც. 2025 წლის 17 დეკემბერს, ცვლილება შევიდა კოდექსის 25-ე მუხლში, რომლითაც არაუგვიანეს 30-ე დღე, შეიცვალა არაუგვიანეს მე-14 დღით. ამასთან, ცვლილება შევიდა საკრებულოს ფრაქციის შექმნის წესში. კოდექსს დაემატა 165[1] მუხლი, რომელიც 2029 წლის არჩევნებში არჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობამდე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის შექმნას შეეხება. ამ მუხლის მიხედვით, ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება აქვთ, შექმნან სხვა ფრაქცია თუ ისინი პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის უპარტიო კანდიდატები ან თუ ისინი დატოვებენ შესაბამისი პოლიტიკური პარტიის წევრობას და გაწევრდებიან სხვა პოლიტიკურ პარტიაში. თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება არა აქვთ, შექმნან ერთზე მეტი პარტია. 165[1] მუხლი ვითარებას დროებით ცვლის. საკრებულოს რეგლამენტში ცვლილების აუცილებლობა გამომდინარეობს იქედან, რომ მასში აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით მუხლები ისევ ძველი ფორმულირებით იყო ჩამოყალიბებული. დღევანდელი

ცვლილებით, ხსენებული ნორმატიული აქტი შესაბამისობაში იქნება მოყვანილი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ჯემალ ბიბილეიშვილი:** „ფრაქციის შექმნის წესში შეტანილი ცვლილება საშუალებას აძლევს უპარტიო წევრებს შექმნან ფრაქცია. მაგალითად, სამმა უპარტიო წევრმა შეიძლება შექმნას ფრაქცია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **თეკლა მებურიშვილი:** „თუ ნებისმიერი სამი წევრი, პარტიული იქნება ის თუ უპარტიო, გადაწყვეტს შექმნას ფრაქცია, იქნება რამე პრობლემა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „სამივე თუ იქნება უპარტიო, საშუალება ექნებათ შექმნან ფრაქცია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **პირველ** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი დ.მხეიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, წინააღმდეგი: 3 წევრი, თ.მებურიშვილი, ე.არჩაია, ა.მიქაუტაძე), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **პირველ** საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი ჭიღვარიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **დადგენილება № 8** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-2** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში**

მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი გდადგენილების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მე-2** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი დ,მხეიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 23 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 1-მა წევრმა, თ.მებურიშვილმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მე-2** საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **ვალერი სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ **განკარგულება №9** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ **განცხადება** გააკეთა მოქალაქე **მირანდა ვარდოსანიძემ:** „პირველ რიგში მადლობას

მოგახსენებთ შესაძლებლობისთვის, თქვენს წინაშე გავაჟღერო ხორავას ქუჩა №4-ის მაცხოვრებლების მდგომარეობა და თხოვნა. როგორც მოგეხსენებათ, გასული წლის 24 იანვარს ხორავას ქუჩის №4-ში გაჩნდა ხანძარი. აღნიშნულის საფუძველზე, ლევან სამხარაულის ექპერტიზის დასკვნით, ჩვენი კორპუსი გამოცხადდა ავარიულად. მოსახლეობა, ქუთაისის ხელმძღვანელობის წყალობით, გაყვანილია ქირით და მათ ჯერჯერობით აქვთ თავშესაფარი. კორპუსში დაბრუნება შეუძლებელია და ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინვესტორის მოძიება. ერთი წლის განმავლობაში, მიუხედავად ჩვენი არა ერთი მცდელობისა, ინვესტორის დაინტერესება ვერ მოხერხდა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ ლოკაციას მიენიჭოს მიმზიდველი კოეფიციენტი, რითაც შევძლებთ ინვესტორის დაინტერესებას. დაბალი კოეფიციენტი ნიშნავს 18 ოჯახის უსახლკაროდ დარჩენას. აქედან გამომდინარე, ხორავას ქუჩა №4-ის მაცხოვრებლების თხოვნაა მხარი დაუჭიროთ ჩვენს ნაკვეთზე სამშენებლო კოეფიციენტის მინიჭებას კანონით დასაშვები მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში და მისცეთ ინვესტორს შესაძლებლობა შიშის გარეშე აიღოს პასუხისმგებლობა და ბოლომდე მიიყვანოს პროექტი. ამ გადაწყვეტილებით თქვენ 18 ოჯახს დაუბრუნებთ სახლს, უსაფრთხოებას და მომავალს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭილვარია: „ძნელია რომელიმე ჯგუფს მისცე ის კოეფიციენტი, რომელსაც არ ითვალისწინებს იქ განაშენიანება, სამწუხაროდ ასეა. მიმზიდველი კოეფიციენტის გაცემა ყველასთვის ერთნაირად უნდა იყოს. აღმასრულებელიც აქ არის და დარწმუნებული ვარ, ამომწურავ პასუხს გაგცემთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **დავით ერემეიშვილი:** „მოგესალმებით. აღნიშნული პრობლემა დიდი ხანია დგას მუნიციპალიტეტში. ჩვენ დავუშვით გამონაკლისი, უშუალოდ ამ მისამართზე შევცვალეთ და მივანიჭეთ მაღალი კოეფიციენტი, მაგრამ ესეც არ აკმაყოფილებთ. სამწუხაროდ, სხვა კოეფიციენტი არ არსებობს. თითქმის ერთი წელია მერიის სარეზერვო ფონდიდან იფარება მათი საცხოვრებლის ქირა, ამიტომ გადავწყვიტეთ წავსულიყავით დათმობაზე, მივეცით განსხვავებული კოეფიციენტი, მაგრამ სხვა გამორიცხულია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „მაქსიმალური კოეფიციენტია დაშვებული, ამიტომ უნდა გავაგრძელოთ ინვესტორის მოძიება და ვთხოვ მერიას დახმარებას."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **დავით ერემეიშვილი:** „სამწუხაროდ, ამ პროცესში მერია ვერ ჩაერთვება. ერთადერთი რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, მოვიდეს ინვესტორი და გაიაროს ჩვენთან კონსულტაცია. შეიძლება სიმაღლე ვერ აიღოს, მაგრამ მაქსიმალურად მოხერხდეს მიწის ათვისება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (უპარტიო), ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, შესაშური ოპერატიულობით 2 დღეში მომზადდა აუდიტის „კომპავუდის" დასკვნა. სხვა მიმართულებითაც თუ გამოვიჩენთ ასეთ ოპერატიულობას, განსაკუთრებით მშენებლობის ნაწილში, კარგი იქნება. აუცილებლად მინდა შევეხო ქალაქში ძველი ციხის დემონტაჟის საკითხს, თუმცა აქ უფრო შორიდან დავიწყებ. 2017 წელს, თქვენი ხელისუფლების პირობებში, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან შეიქმნა პოლონელი არქეოლოგის, პოლკოვსკის სახელობის ცენტრი, სადაც ჩვენი არქეოლოგები გეგმავდნენ ემუშავათ რიგ საკითხებზე, რათა ჩვენი ქალაქის რაღაც ისტორიული ნაწილი იუნესკოში წარდგენილიყო როგორც ურბანული ძეგლი. ეს იყო სტანდარტი და პერსპექტივა, რომელიც ბევრს გაახარებდა. ქალაქში უამრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომელთა ნაწილი ჩვენ საკუთრებაშია და ნაწილი სახელმწიფოს. კარგი იქნება თუ ამ კოეფიციენტებს და დათქმებს მივაქცევთ ყურადღებას. ციხის ნაწილის დემონტაჟი არ არის დასრულებული და იქნებ, რაღაც მცირე ნაწილი დარჩეს და ინტეგრირებული იქნეს იმ ახალ სივრცესთან, რომელიც იქ მოეწყობა. მხოლოდ კორპუსებზე ორიენტირება არცერთს არ გაგვახარებს. ყველა ვამაყობთ ჩვენი ქალაქის სიძველით და მნიშვნელოვანია, რომ შენობებს, რომლებიც ამ ქალაქის სიძველეს ადასტურებს, მათ შორის, რომლებიც აღმოჩენილი და დაკონსერვებულია, თუ შევინარჩუნებთ. მოგეხსენებათ, რომ ციხის ტერიტორია გასხვისებულია, კერძო საკუთრების პატივისცემით, თუმცა ქალაქის ინტერესი სიძველეების მიმართ განსაკუთრებულად საინტერესოს გახდის ჩვენ ქალაქს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „ჩემ პირად მოსაზრებას მოგახსენებთ. ეს ციხე არანაირ სიძველეს არ წარმოადგენს. ეს არის რუსეთის და შემდეგ საბჭოთა ოკუპაციის სიმბოლო. იქ იყო საშინელი ანტისანიტარია, მივესალმები თუ რუსული და საბჭოთა ოკუპაციის არანაირი კვალი არ იქნება ჩვენ ქალაქში. დაკონსერვებასთან დაკავშირებით, ძალიან სერიოზულად მუშაობენ ჩვენი არქეოლოგები და მალე სერიოზული მტკიცებულება გვექნება არგონავტების მისიისა და იმდროინდელი ქალაქის არსებობის. ნამდვილად უნდა მივხედოთ ქალაქის ისტორიულ შენობებს და ამ მიმართულებით ქალაქის მერია აქტიურად მუშაობს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (უპარტიო) ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „რადგან ოკუპაციას შევეხეთ, დღეს 25 თებერვალია, გასაბჭოების დღე და კარგი იქნებოდა პატივი მიგვეგო ამ პროცესში დაღუპული იუნკერებისათვის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „გეთანხმებით, რა თქმა უნდა. შეიძლება თქვენ არ იცით, მაგრამ მთელი ქვეყნის მასშტაბით დროშები დაშვებულია. რომელი ოკუპაციაც არ უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის, ეს ჩვენთვის მიუღებელია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ლაშა გვენეტაძე:** „განმცხადებელ ქალბატონ მირანდას მინდა მივმართო. ჩვენ, საკრებულოს წევრებიც ჩავერთვებით ამ პროცესში. ჩვენ, ყურის მოკვრით ვიცით, რომ იქ არის დაზარალებული სამი ოჯახი, რომელიც არსებულზე მეტს ითხოვს და ისეც ნუ ვიზამთ, რომ შევაშინოთ ინვესტორი. რაც არის მოსათხოვი რეალურად, ყველამ ის მოითხოვოს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს რიგითი მე-5 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-5 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.